



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

23 აგვისტო 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №167

სააქციო საზოგადოება „ოზურგეთის სამგზავრო ავტოსადგური“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს მე-5 თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სააქციო საზოგადოება „ოზურგეთის სამგზავრო ავტოსადგური“-ს საბილეთო საღაროს განთავსებისათვის სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით, გადაეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნატანების თემში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 30კვ.მ. მიწის ნაკვეთი. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 01, კვარტალი №73, ნაკვეთი №034, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882011061391, მომზადების თარიღი 16.02.2011წ.)

2. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ქონების მართვის საკითხებში ნათია ინწკირველს (პირ.№33001008059).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი